

მოგებაც შეიძლებოდა

მოსკოვი. "ლოკომოტივის" სტადიონი. 19 მაისი.

"ლოკომოტივი" (მოსკოვი) – "დინამო" (თბილისი) 0:0.

"ლოკომოტივი": სამოხინი, ალექსანდროვი, ოვჩინიკოვი, რიახოვსკი, კამზულინი, პიატიკოვი, ემტრეკოვი, სიომინი, კობლოვსკიხი (ვასინი), ნოდია (უტკინი), არუთინიანი.

"დინამო": გოგია, ებრალიძე ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გ. მაჩიაიძე, დარასელია, წერეთელი (ჩელებაძე).

მსაჭი: ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

დუბლიორები – 0:0.

ლოკომოტიველები ამ მატჩის წინ ძნელი ამოცანის წინაშე იდგნენ: მათ ზედიზედ წააგეს ბოლო ორი ტურის მატჩები ერთნაირი ანგარიშით – 2:3 და ცხრილის ბოლოში გადაინაცვლეს. სატურნირო მდგომარეობის გამოსასწორებლად მათ აუცილებლად სჭირდებოდათ გამარჯვება და ეს მით უფრო შესაძლებელი იყო, რომ თბილისელებს აკლდათ ორი უძლიერესი თავდამსხმელი – ყიფიანი და გუცაევი, რომლებიც ზუსტად ამ დროს თამაშობდნენ ლუუნიკის მინდორზე სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში.

მაგრამ დინამოელებმა მეტოქეს გამარჯვებაზე ფიქრი დასაწყისშივე მოუსპეს, როცა აქტიურად, ხშირი იერიშებით ჩაატარეს დებიუტი და ზედიზედ შექმნეს ბურთის გატანის შესაძლებლობანი. საამისო შანსი ჰქონდათ ქორიძეს, დარასელიას და განსაკუთრებით, გ. მაჩაიძეს, რომელიც მეკარის პირისპირ გავიდა და ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ სამოხინმა შეძლო ძნელი ბურთის აღება.

შემდგომში სტუმრებმა რატომლაც მოუკლეს ტემპს, მინდვრის შუაგულში ბურთის გათამაშებაზე გადავიდნენ და მხოლოდ დარასელია კვლავინდებურად ენერგიულად მოქმედებდა შეტევისას.

რკინიგზელებმა ვერაფერი გააწყეს თბილისელთა ორგანიზებული დაცვის წინააღმდეგ. თუმცა, მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა სიომინს მიეცა ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ამ მომენტში გაბედულად და ზუსტად ითამაშა გოგიამ.

თბილისის "დინამოს" შეეძლო გამარჯვება, ისევე რომ განეგრძო თამაში, როგორც პირველი 15–20 წუთის მანძილზე.

ვ. პავლოვი (ტელეფონით ჩვენი კორ.).

"ლელო", 22 მაისი, 1976 წ.